ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N10/9681 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, მურთაზ შელიას ანგარიშის წარდგენა გაიმართება მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს გლდანის I მ/რ 23ბ კორპუსში 16:00 საათზე, ბიუროს ოფისში.

დანაჰთი 8 ფურცელი

პატივისცემით ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის კენტი მიკრო რაიონების

მაჟორიტარი დეპუტატი /მურთაზ შელია/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 9 ფურცელი

10/9681 11.10.2017

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის მურთაზ შელიას

2017 წლის ანგარიში

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო,მე როგორც გლდანის კენტი მ/რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი პატივი მაქვს წარვსდგე თქვენს წინაშე 2017წლის ანგარიშით.

თქვენის ნებართვით გადავალ უშუალოდ ჩემი ანგარიშის განხილვაზე.

მე როგორც გლდანის კენტი მ/რაიონების წარმომადგენელი საკრებულოში, მაჟორიტარის ფუნქციას ვახორციელებ ბიუროს მეშვეობით.

გვაქვს ტრადიციული „ოთხშაბათის შეხვედრები“დანარჩენ სამუშაო დღეებში ოფისი მუშაობს და აგრძელებს მოქალაქეების მიღებას. იანვრიდან დღემდე მოგვმართა ხუთაზე მეტმა ადამიანმა. აქედან პირადად ჩემთან შეხვედრაზე იყო მოსული ოთხას ადამიანზე მეტი..

მოქალაქეები მოგვმართავენ სოციალურ საკითხებზე;

სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებისათვის, მედიკამენტების,ოპერაციებისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსებისათვის , რომელთაც ვუწევთ შუამდგომლობას ქალაქის მერიაში , გლდანის რაიონის გამგეობასა და სხვა შესაბამის დაწესებულებებში.

ასევე მოგვმართავენ პირები დასაქმებასთან დაკავშირებით, რომელთაც ვუწევთ რეკომენდაციას შესაბამის სამსახურში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში,რომელთაგანაც გარკვეული ნაწილი დაკმაყოფილებულია .

მოგვმართავენ დაუკანონებელი ფართების დაკანონების და მიწის ლეგალიზაციის თაობაზე, რომელთაც ასევე გაეწიათ შესაბამისი შუამდგომლობა,გარკვეული ნაწილი დაკმაყოფილებულია, მეორე ნაწილის საკითხი განხილვაშია.

მოგვმართავენ ასევე ინფრასტრუქტურულ საკითხებზე...

წლის დასაწყისიდან აქტიურად ვურთიერთობ და ვთანამშრომლობ კორპუსის ამხანაგობის თავჯდომარეებთან . უშუალოდ მათგან ვიღებ თითოეული კორპუსის პრობლემებზე ინფორმაციას.

რაც შეეხება მომართვებს კორპუსის, ეზოს, გზის, სკვერის , მოსასვენებელი პავილიონის, საბაღე სკამების დადგმის და შემოერთებულ დასახლებებში წყლის, კანალიზაციის და გზის საკითხებს, თითოეულ ამ თემას განვიხილავთ და შემდეგ ბიუროს თანამშრომლები წარუდგენენ რაიონის გამგებელს და გამგეობის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბიუროში შემოვიდა 350 განცხადება:

მედიკამენტები დაუფინანსდა 201 მოქალაქეს,

ოპერაცია დაუფინანსდა 39 მოქალაქეს,

ჯანმრთელობის რეაბილიტაციის კურსი დაუფინანსდა13 მოქალაქეს,

მკურნალობა დაუფინანსდა 9 მოქალაქეს,

სოციალური სტატუსი 7 მოქალაქეს,

სწავლის ქირა 7 მოქალაქეს,

ბინის ქირა 2 მოქალაქეს,

გარდა შემოსული განცხადებებისა და მათზე სათანადო შუამდგომლობებისა, შეხვედრებიდან გამომდინარე მყისიერად ვრეაგირებთ მოქალაქეთა თხოვნებზე და პირადი კონტაქტების მეშვეობით ვურთიერთობთ მერიის და გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურებთან, რის საფუძველზეც მოქალაქეებს ვეხმარებით მათთვის პრობლემური საკითხების მოგვარებაში, შუამდგომლობის გარეშე დაკმაყოფილებულია ორასამდე მოქალაქე.

წარმოგიდგენთ გლდანის კენტ მიკრო რაიონებში 2017 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებულ შიდაკვარტალური გზების რეაბილიტაციას:

1.გლდანის 7 მ/რ კორპუსი 20-23 შორის

2.გლდანის 7 მ/რ კორპუსი 11 მიმდებარედ

3.გლდანის 7 მ/რ კორპუსი 5 მიმდებარედ

სკვერების რეაბილიტაცია:

1.გლდანის 3მ/რ 14-11ა შორის

2.გლდანის 3მ/რ კორპ N3 მიმდებარედ

3.გლდანის 1 მ/რ კორპ N17 მიმდებარედ

4.გლდანის 7მ/რ კორპN4 მიმდებარედ

სპორტული მოედნების რეაბილიტაცია:

1.გლდანის 1 მ/რ N3-3ა მიმდებარედ

2.გლდანის 3 მ/რ N8 მიმდებარედ

3.გლდანის 3 მ/რ N79ა მიმდებარედ

4.გლდანის 3ა მ/რ N22-21 მიმდებარედ

2017 წლის იანვრიდან დღემდე 20 კორპუს ჩაუტარდა სახურავის რეაბილიტაცია:

1.გლდანის 1მ/რ კორპN4

2.გლდანის 3მ/რ კორპN1

3.გლდანის 3მ/რ კორპN72

4გლდანის 5მ/რ კორპN5

5.გლდანის 7მ/რ კორპN10ა

6.გლდანის 3მ/რ კორპN9

7.გლდანის 3მ/რ კორპN79ა

8.გლდანის 3მ/რ კორპN82

9. გლდანის 3მ/რ კორპN77

10.გლდანის 3მ/რ კორპN72

11.გლდანის 1მ/რ კორპN22

12.გლდანის 1მ/რ კორპN4

13.გლდანის 1მ/რ კორპN2

14.გლდანის 7მ/რ კორპN11

15.გლდანის 5 მ/რ კორპN13

16.გლდანის 5 მ/რ კორპN15

17.გლდანის 5მ/რ კორპN17

18.გლდანის 3მ/რ კორპN6

19.გლდანის 3ამ/რ კორპN3ა

20.გლდანის 3მ/რ კორპN19

2017 წლის იანვრიდან დღემდე 7 კორპუსში ლიფტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია:

1.გლდანის 1მ/რ კორპN1ა

2.გლდანის 1მ/რ კორპN14

3.გლდანის 1მ/რ კორპN4ა

4.გლდანის 3ამ/რ კორპN22

5.გლდანის 5მ/რ კორპN12

6.გლდანის 5მ/რ კორპN5

7.გლდანის 5მ/რ კორპN28

6 კორპუსში გამოიცვალა შიდა წყალ–კანალიზაციის გაყვანილობა:

1.გლდანის1მ/რ კორპN4ა

2.გლდანის 3ამ/რ კორპN22

3.გლდანის 5მ/რ კორპN5

4.გლდანის 5მ/რ კორპN28

5.გლდანის 5მ/რ კორპN10

6.გლდანის 1მ/რ კორპN23ბ

ასევე:

გლდანის რაიონში გიორგიწმინდა აღმაშენებლის ქუჩაზე მოხდა საკანალიზაციო სისტემის დაქსელვა (1200 მ)

4 კორპუსს ჩაუტარდა სართულშორისი ნაპრალების რეაბილიტაცია:

1.გლდანის 1მ/რ კორპN13

2. გლდანის 1მ/რ კორპN12

3.გლდანის 7 მ/რ კორპN21ბ

4.გლდანის 7 მ/რ კორპN17ბ

დაიდგა 40 საბაღე სკამი და 6 მოსასვენებელი პავილიონი.

პატივისცემით,

გლდანის კენტი მიკრო რაიონების

მაჟორიტარი დეპუტატი მურთაზ შელია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის მურთაზ შელიას

2017 წლის ანგარიში

საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დღეების წესრიგი

1. 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი -,, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N 04/18754, 04.11.2016);

2. 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (N 04/19055, 15.11.2016);

3.1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის განხილვა (წერილი №04/20047, 09.12.2016.)

4.1. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი -,, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(№04/20594, 21.12.2016) ;

5.1.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-ხელოვნების სკოლებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქ. თბილისი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (ს/ნ.:204526352) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

6.1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N04/2262,17.02.2017)2.,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/2339, 21.02.2017);

7.1 ,,ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N9-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (N04/3093,13.03.2017) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა; 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენა (04/2656, 28.02.2017); 3. ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" -პროექტის პრეზენტაცია; 4.მიმდინარე საკითხები

8.1 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2017 წლის, I-ლი კვარტალი), 2. ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის შესაბამისად- ქ.თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა.

9.1 ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური ცენტრის, მუხიანის სარაგბო კომპლექსის დათვალიერება.

10. 1. ქალთა საფეხბურთო გუნდ "თბილისის თბილის"-თან შეხვედრა.

11. 1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8353, 21.07.2017);

12. 1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/8993, 11.08.2017);

13. 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2017 წლის, III-ლი კვარტალი),

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შესახებ ინფორმაცია:

ჩატარდა 9 სხდომა, სულ განიხილეს 14 საკითხი, მათ შორის ძირითადი საკითხები შეეხებოდა ბიუჯეტს და ეკონომიკის წინსვლას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომების შესახებ ინფორმაცია:

ჩატარდა 10 სხდომა მათ შორის 10 სხდომაში მივიღე მონაწილეობა.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების შესახებ ინფორმაცია:

2017 წლის განმავლობაში მომართა 400 ამომრჩეველმა, აქედან შუამდგომლობა მომზადდა 306 განცხადებაზე:

201 მედიკამენტები, 39 ოპერაცია,13 მკურნალობა, 9 გამოკვლევა, სოციალური სტატუსი 6, , სამსახურის შესახებ რეკომენდაცია 7, სწავლის ქირა 7,ფართის დაკანონება 2, ბინის ქირა 2, ასევე სახვადასხვა საკითხების შესახებ, როგორიც არის ზამთარში შეშითა და გაზის გამათბობლით უზრუნველყოფა, უფასო სასადილოში რეგისტრაციის შესახებ,სწავლის ქირის დაფინასება, მრიცხველების დამონტაჟება, სახლის მშენებლობის გაცემის უფლება, ტრანსპორტის დანიშვნის შესახებ.

საკრებულოს წევრი

მურთაზ შელია